

„დამტკიცებულია“  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს 04.12.2024 №02-01/1 გადაწყვეტილებით  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების  
ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ოქმი №02-03-06/04 26.11.2024 წ.

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

არქეოლოგია

აკადემიური ხარისხი: არქეოლოგიის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:  
პროფესორი - ტარიელ ებრალიძე  
ასოცირებული პროფესორი - ნარგიზ სურმანიძე

პროგრამის განხორციელების ვადა  
2025 – 2032 წწ.

**1. პროგრამის სახელწოდება:** არქეოლოგია / Archaeology

**2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**3. სწავლების ენა:** ქართული

**4. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** არქეოლოგიის მაგისტრი//Master of Archaeology  
კვალიფიკაციის კოდი: 0222.1.2 არქეოლოგია

**5. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელები:**

**ტარიელ ებრალიძე**, წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ტელ: 595 50 73 74. Email: [tariel.ebralidze@bsu.edu.ge](mailto:tariel.ebralidze@bsu.edu.ge)  
**ნარგიზ სურმანიძე**, წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ტელ: 577 24 24 35.  
Email: [surmanidze.nargiz01@gmail.com](mailto:surmanidze.nargiz01@gmail.com)

**6. პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებით:**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტს, ხოლო სემესტრში - 30 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ხანგრძლივობა 2 წელს შეადგენს.

**7. სწავლების ფორმატი**

სწავლება წარიმართება ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მუშაობის ფორმატით

**8. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

პროგრამაზე დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

**კერძოდ:** ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდა/გამოცდები (იხ. დანართი 8-9).

უნდა ქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მოიპოვოს სხვა უნივერსიტეტის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

**9. პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა:**

არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად შეიძლება მიღებულ იქნას 4-7 მაგისტრანტი.

## 10. პროგრამის მიზანია:

- მაგისტრანტს მისცეს **ღრმა და სისტემურ ცოდნა** საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური კულტურების, მათი წამყვანი ძეგლების შესწავლისა და ისტორიულ-სოციოლოგიური ანალიზის საფუძველზე, აქ მოსახლე საზოგადოების განვლილი ეტაპების (ქვის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით) რეკონსტრუქციაზე; კვლევების დროს გამოყენებული მეთოდებისა და არქეოლოგიური პრობლემების სამეცნიერო შეხედულებებზე;
- კურსდამთავრებულმა **გააცნობიეროს და აღწეროს** საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების კვლევის შედეგების მნიშვნელობა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტების, სხვა ქვეყნების თანადროულ ძეგლებთან ურთიერთმიმართების, ქართული სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციური პოზიციონირების აღქმის, გააზრებისა და ინტერპრეტაციის საქმეში;
- კურსდამთავრებულმა, დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელის დახმარებით, **შეძლოს** საქართველოს არქეოლოგიური კულტურების, სხვა ქვეყნების თანადროულ არქეოლოგიურ კულტურებთან ურთიერთმიმართების საკითხების ირგვლივ ორიგინალური საკვლევი თემის, დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების **განსაზღვრა**, კვლევის განხორციელების გზების **შემუშავება** და შედეგების წინასწარი **გააზრება**;
- კურსდამთავრებულმა შეძლოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, დარგის შესაბამისი **მეთოდოლოგიით განახორციელოს** კვლევა შესასწავლ ობიექტზე (ველზე // მუზეუმებისა და კვლევითი დაწესებულებების ფონდებში // ლაბორატორიებში); საბიბლიოთეკო რესურსებსა და სამეცნიერო ბაზებში **მოიძიოს** სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა და **გამოიყენოს** საკვლევი მასალის განალიზებისათვის; **შექმნას** კვლევითი ნაშრომი//პროექტი და კვლევის შედეგები **წარუდგინოს** აკადემიურ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ ან უცხო ენაზე;
- კურსდამთავრებულმა **იხელმძღვანელოს** პროფესიული ეთიკის, სამართლებრივი ნორმების, ეროვნული ღირებულებებისა და ინტერკულტურული პრინციპების დაცვით; გუნდური მუშაობის დროს პატივი სცეს სხვათა შეხედულებებს; **მიიღოს მონაწილეობა** დარგის განვითარებაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციისა და დაცვის პროგრამებში; **მოახდინოს** თვითორგანიზება, გადაჭრას მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები, **წამოაყენოს** ახალი ინიციატივები და **პასუხისმგებლობა აიღოს** საკუთარ გადაწყვეტილებებზე.

## 11. სწავლის შედეგები

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>
არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:
<p><b>A-1. ახდენს</b> ღრმა და სისტემური ცოდნის <b>დემონსტრირებას</b> საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური კულტურების, მათი წამყვანი ძეგლების შესწავლისა და ისტორიულ-სოციოლოგიური ანალიზის საფუძველზე, აქ მოსახლე საზოგადოების განვლილი ეტაპების (ქვის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით) რეკონსტრუქციის, კვლევების დროს გამოყენებული მეთოდებისა და არქეოლოგიური პრობლემების სამეცნიერო შეხედულებების ირგვლივ;</p> <p><b>A-2. აცნობიერებს</b> და <b>აღწერს</b> საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების კვლევის მნიშვნელობას ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტების, სხვა ქვეყნების თანადროულ ძეგლებთან ურთიერთმიმართების, ქართული სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციური პოზიციონირების აღქმის, გააზრებისა და ინტერპრეტაციის საქმეში; <b>ახდენს</b> მათ <b>ინტერპრეტირებას</b> და <b>იაზრებს</b> საქართველოს ადგილს მსოფლიო ცივილიზაციათა სისტემაში;</p> <p><b>A-3.</b> დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელის დახმარებით <b>ახდენს</b> საკვლევ პრობლემის იდენტიფიცირებას საქართველოს არქეოლოგიური კულტურების, სხვა ქვეყნების თანადროულ არქეოლოგიურ კულტურებთან ურთიერთმიმართების საკითხების ირგვლივ; <b>განსაზღვრავს</b> ორიგინალურ საკვლევ თემას, დარგის შესაბამის კვლევის მეთოდებს; შეიმუშავებს კვლევის განხორციელების გზებს და <b>იაზრებს</b> მოსალოდნელ შედეგებს.</p>
<b>უნარი</b>
არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:
<p><b>B-1 იყენებს</b> პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, დარგის შესაბამის მეთოდებს (დაზვერვა, ძეგლზე მეთოდური გათხრების ჩატარება, ფიქსაცია, საველე დოკუმენტაციის წარმოება, ახლად აღმოჩენილი მასალის კამერალური დამუშავება, საანალიზო მასალის აღება-შერჩევა; მუზეუმებისა და კვლევითი დაწესებულებების ფონდებში დაცული არტეფაქტების ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და ფუნქციური თავისებურებების განსაზღვრა-დაჯგუფება, საკვლევ ძეგლების ანალოგების მოძიება-შედარება, ინტერპრეტაცია, გეო-საინფორმაციო სისტემის გამოყენება და სხვა) და <b>ახორციელებს</b> კვლევას;</p> <p><b>B-2.</b> საბიბლიოთეკო რესურსებსა და სამეცნიერო ბაზებში <b>მოიძიებს</b> სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას და <b>იყენებს</b> საკვლევ მასალის გაანალიზებისათვის;</p> <p><b>B-3.</b> ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით <b>ქმნის</b> კვლევით ნაშრომს/პროექტს; კვლევის შედეგებს <b>წარუდგენს</b> აკადემიურ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ ან უცხო ენაზე.</p>
<b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b>
არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:
<p><b>C-1. მონაწილეობს</b> არქეოლოგიური კვლევების განხორციელებაში, თავისი <b>წვლილი შეაქვს</b> დარგის განვითარებაში; მონაწილეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციისა და დაცვის პროგრამებში.</p> <p><b>C-2. ხელმძღვანელობს</b> პროფესიული ეთიკის, სამართლებრივი ნორმების, ეროვნული ღირებულებებისა და ინტერკულტურული პრინციპების დაცვით; გუნდური მუშაობის დროს ითვალისწინებს და პატივს სცემს სხვათა შეხედულებებს; <b>ახდენს</b> თვითორგანიზებას, წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას, <b>აყენებს</b> ახალ ინიციატივებს და <b>პასუხისმგებელია</b> საკუთარ გადაწყვეტილებებზე.</p>

## 12. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების დროს, იმისათვის, რომ მაგისტრანტმა მიიღოს ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიის საკითხებსა და კვლევის მეთოდებზე; განუვითარდეს კვლევითი და სამეცნიერო უნარები, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე საკვალიფიკაციო ნაშრომით დადასტურდება, გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგი ძირითად მეთოდები:

**ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი** მეთოდი (ლექცია)

**სემინარი** (სწავლება მცირე ჯგუფებში)

**წიგნზე მუშაობის მეთოდი**

**წერითი მუშაობის მეთოდი** (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, რეფერატი, ესე და სხვ.)

**დემონსტრირების მეთოდი** (აუდიო და ვიდეომასალების ჩვენება, მუზეუმებში, არქივებში, ბიბლიოთეკებში სასწავლო ვიზიტები და სხვ.)

**ინტერაქტიული მეთოდი**

**პრაქტიკული მეთოდები//პროფესიული უნარების პრაქტიკა** (სავარჯიშოები; სავლე არქეოლოგიური პრაქტიკა)

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ვერისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ისტორიული მოვლენის ანალიზი და ა. შ.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

**დემონსტრირება** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური,

დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

#### **ინდუქცია/დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

სწავლების *ინდუქციური მეთოდი* განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულსაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების *დედუქციური მეთოდი* განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულსაკენ.

#### **ანალიზი/სინთეზი**

სასწავლო პროცესში *ანალიზის მეთოდი* გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

*სინთეზის მეთოდი* გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

*ახსნა-განმარტებითი მეთოდი* – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

*ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება* – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

### **13. პროგრამის სტრუქტურა (იხ. დანართი №1)**

პროგრამა შედგება სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და მისი საჯარო დაცვით.

### **14. პრაქტიკული კომპონენტი**

განხორციელდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. საჭირო ფინანსურ რესურსებს (პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, მაგისტრანტების ნაშრომთა, პრეზენტაციების, სამეცნიერო კონფერენციების, ექსპედიციებისა და ექსკურსიების მოწყობა) მთლიანად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

### **15. სამაგისტრო ნაშრომი, შესრულების ეტაპები**

სამაგისტრო ნაშრომის თემას მაგისტრანტი ირჩევს პროგრამით შეთავაზებულ აქტუალური თემატიკიდან:

- აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ნეოლითური ხანის ძეგლების ინტერდისციპლინური კვლევები;
- თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურა;
- სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში - ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა;
- კოლხეთის ურთიერთობა გარე სამყაროსთან;
- ანტიკური სამყარო და კოლხეთი;
- კოლხური ოქრომჭედლობა;

- ელინიზმი და საქართველო
- სამხედრო საქმე ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით);
- რომაული სამყარო და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი
- აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები (ნაქალაქარები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები, ხიდები).
- არქეოლოგია და თანამედროვეობა

### **ან კიდევ,**

მაგისტრანტის ინტერსების შესაბამისად ძირითადი სწავლის სფეროდან, სავარაუდო ხელმძღვანელთან წინასწარი კონსულტაციისა და მისი თანხმობის საფუძველზე.

სამაგისტრო თემის, ხელმძღვანელის შერჩევა და რეგისტრაცია შესაძლებელია მესამე სემესტრის დაწყებიდან. შესაბამისი პროცედურა გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესის შესაბამისად. ერთი და იმავე პირმა შესაძლებელია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 სამაგისტროს.

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის ვადები მტკიცდება სამაგისტრო თემებთან ერთად ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ეტაპები გაწერილია შესაბამის **სილაბუსში** (სამაგისტრო ნაშრომი)

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე მოქმედებს **პლაგიატთან** ბრძოლის პოლიტიკა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე წარდგენა ხდება მაგისტრის დებულების შესაბამისად არჩეული **რევენუენტის** რეკომენდაციის (ემლევა/არ ემლევა) შემდეგ.

## **16. სტუდენტის შეფასების სისტემა**

სასწავლო კომპონენტების შეფასების ფორმები კრიტერიუმები და მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის“ მაგისტრის დებულებით.

### **16.1 სასწავლო კომპონენტის შეფასება**

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

- სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ საგანში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვა შედეგების საფუძველზე.
- სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, რაც იყოფა ორ ნაწილად და გულისხმობს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს.
- სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები შედგება შეფასების კომპონენტებისაგან, რომლებიც აერთიანებს ზეპირი ან/და წერიტი სახის გამოკითხვებს, გამოცდებს, პრაქტიკულ და თეორიულ სამუშაოებს და ა.შ. არ შეიძლება სტუდენტის შეფასება, მხოლოდ ერთი შეფასების კომპონენტის გამოყენებით.
- შუალედური შეფასება მოიცავს: ა) შუალედურ გამოცდას – 20 ქულა. შუალედური გამოცდის რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსის მოთხოვნების გათვალისწინებით. ბ) მიმდინარე შეფასებებს – 40 ქულა. მიმდინარე შეფასებები შეიძლება განხორციელდეს წერიტი ან ზეპირი ფორმით, შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა მეთოდი.

- შეფასების ცალკეული კომპონენტის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება ცალკეული სასწავლო კურსის – საგნის სილაბუსით, სადაც დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები: ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერითი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით; ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით.
- შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს წერითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს კომბინირებული, წერითი ან ზეპირი ფორმით. კომბინირებულ გამოცდაში თანაბრად (50/50-ზე) დაცული უნდა იყოს წერითი და ზეპირი ნაწილების ხვედრითი წილი.
- შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულაა. ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულაა, თუმცა მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ზრდა დასაშვებია ცალკეულ სასწავლო კურსში, მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმების გზით.

## 16.2 სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით

ქულა	ნიშანი	შეფასება	სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები
91-100	A	ფრიადი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.
81-90	B	ძალიან კარგი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით) სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
71-80	C	კარგი	სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
61-70	D	დამაკმაყოფილებელი	სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას. შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას.
51-60	E	საკმარისი	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს.
41-50	FX	ვერ ჩააბარა	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ.
0-40	Fx	ჩაიჭრა	მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს არანაკლებ 21 ქულა) სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება **F – 0**

### 16.3 კვლევითი კომპონენტის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომი არის პროგრამის შემადგენელი კვლევითი კომპონენტი. ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - საჯარო დაცვაზე დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი წარმოადგენს ნაშრომს პრეზენტაციის სახით, რომელშიც აქცენტი უნდა გაკეთდეს ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე: აქტუალობა და სიახლე - 10 ქულა; კვლევის პრაქტიკული ან თეორიული მნიშვნელობა -10 ქულა; კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემებთან - 15; საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა - 15 ქულა; კვლევის შედეგების დამაჯერებლობა - 10 ქულა; ნაშრომის ტასუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან / აკადემიურ სტილთან შესაბამისობა - 5 ქულა; გამოყენებული ლიტერატურა - 5 ქულა; პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ) -10 ქულა; კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა - 15 ქულა; გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა - 5 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება გამოითვლება კომისიის წევრების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით:

#### **დადებითი შეფასება (51-100 ქულა)**

(A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი –71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი –51-60 ქულა.

#### **უარყოფითი შეფასება (0-50 ქულა)**

(FX) ვერ ჩააბარა (41-50 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი დასაცავად წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა (0-40 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტმა უნდა შეარჩიოს ახალი სამაგისტრო თემა, დაამუშაოს და დაიცვას.

კომისიის წევრების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება რეცენზენტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია.

### 17. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა და მატერიალური და ფინანსური რესურსები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი იზრდება, ივსება იმ ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურით, რომელიც საჭიროა მაგისტრატურაში სწავლისა და სამაგისტრო თემების დასამუშავებლად. გარდა ამისა შუახვევის, ხულოს, ქედის, აჭარის მუზეუმის - ამირან კახიძის სახელობის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმისა და გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მუზეუმის ფონდებში არსებული მასალა ხელმისაწვდომია ნებისმიერი კვლევების ჩასატარებლად. მაგისტრანტები დაიშვებიან ასევე საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ სხვადასხვა არქეოლოგიურ სამუშაოებში.

წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის აუდიტორიები /სადაც მომზადდებიან არქეოლოგიის მაგისტრები/ აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით /კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი.../, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახის პრაქტიკულ, თეორიულ და ინტერდისციპლინარულ მომზადებასა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას.

## 18. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი

1. **ტარიელ ებრაღიძე**, ისტორიის დოქტორი, პროფესორი. **სასწ./კურსი:** საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგია, საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, საარქივო-სამუზეუმო საქმე, სასწავლო არქეოლოგიური პრაქტიკა. **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.**
2. **ნარგიზ სურმანიძე**, ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. **სასწ./კურსი:** საქართველოს ლითონის ხანის არქეოლოგია. **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.**
3. **ნინო ძნელაძე**, ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. **სასწ./კურსი:** ძველი ბერძნული ენა; ბიბლიური არქეოლოგია; გლიპტიკა. **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.**
4. **კახაბერ ქამადაძე**, არქეოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ადრეული ფეოდალიზმი; საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, განვითარებული და გვიანდელი ფეოდალიზმი; სასწავლო არქეოლოგიური პრაქტიკა. **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.**
5. **გურამ ჩხატარაშვილი**, არქეოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგია, გეოარქეოლოგია.
6. **სულხან მამულაძე**, არქეოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ადრეული ფეოდალიზმი; საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, განვითარებული და გვიანდელი ფეოდალიზმი. **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.**
7. **ვაჟა ფარტენაძე**, არქეოლოგიის დოქტორი, მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** საქართველოს ლითონის ხანის არქეოლოგია; საარქივო-სამუზეუმო საქმე.
8. **ნონა შუშანიძე**, ხელოვნების დოქტორი, პროფესორი. მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურის ისტორია;
9. **ნაილა ჩელებაძე**, ისტორიის დოქტორი, პროფესორი. **სასწ./კურსი:** ნუმისმატიკა;
10. **თემურ ტუნაძე**, ისტორიის დოქტორი, პროფესორი. **სასწ./კურსი:** კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მართვა; ეთნოარქეოლოგია;
11. **მედია რიჟვაძე**, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** ძველი ქართული ენა;
12. **თალიკო ბერიძე**, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** ქართული ეპიგრაფიკა; აკადემიური წერა;
13. **ზაზა კილაძე**, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტი. მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** საქართველოს ეკლესიის ისტორია;
14. **თამილა ჩურკვეიძე**, დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი. **სასწ./კურსი:** უცხო ენა (ინგლისური).

## 18. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

არქეოლოგიის მაგისტრს შესაძლებლობა ექნება სწავლა გააგრძელოს არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობით და კულტურული რესურსების მართვის მიმართულებების დოქტორანტურაში.

## 19. დასაქმების სფეროები.

საერთაშორისო და ადგილობრივი არქეოლოგიური ექსპედიციები; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; მუზეუმები და არქივები; ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებებში; ტურისტულ სააგენტოები და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა)

სასწავლო გეგმა												
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
	<b>ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები</b>	<b>75</b>										
1	საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგია	5	125	15	13	2	3	92	5			
2	საქართველოს ლითონის ხანის არქეოლოგია	5	125	14	14	2	3	92	5			
3	საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგია	5	125	15	13	2	3	92		5		
4	საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია	5	125	15	13	2	3	92		5		
5	ძველი ბერძნული ენა	5	125	14	16	1	2	92		5		
6	აკადემიური წერა	5	125	15	13	2	3	92	5			
7	ინგლისური ენა - C1 -1	5	125		28	2	3	92	5			
8	ინგლისური ენა - C1-2	5	125		28	2	3	80		5		
9	ეთნოარქეოლოგია	5	125	15	13	2	3	92			5	
10	საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ადრეული ფეოდალიზმი	5	125	15	13	2	3	92		5		
11	საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები განვითარებული და გვიანდელი ფეოდალიზმი	5	125	15	13	2	3	92			5	
12	ძველი ქართული ენა	5	125	14	14	2	3	92	5			
13	შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურის ისტორია	5	125	15	13	2	3	92			5	
14	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მართვა	5	125	15	12	1	2	95			5	
15	გეოარქეოლოგია	5	125	15	13	2	3	92	5			
16	<b>სასწავლო არქეოლოგიური პრაქტიკა</b>	<b>5</b>	<b>125</b>		<b>33</b>		<b>2</b>	<b>90</b>		<b>5</b>		
17	<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	<b>30</b>										<b>30</b>
	<b>ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები</b>	<b>10</b>	<b>250</b>	<b>30</b>	<b>22</b>	<b>8</b>	<b>10</b>	<b>180</b>			<b>10</b>	
18	ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში	5	125	15	13	2	3	92				
19	ნუმისმატიკა	5	125	15	14	1	3	92				

20	გლიპტიკა	5	125	15	14	1	3	92				
21	საარქივო-სამუზეუმო საქმე	5	125	15	13	2	3	92				
22	ბიბლიური არქეოლოგია	5	125	15	13	2	3	92				
23	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	125	15	13	2	3	92				
24	ქართული ეპიგრაფიკა	5	125	15	13	2	3	92				
	<b>სულ</b>	<b>120</b>							<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობათა ცხრილი

№	საგნის დასახელება	დაშვების წინაპირობა
	<b>სასწავლო კომპონენტები</b>	
1	საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგია	წინაპირობა არ აქვს
2	საქართველოს ლითონის ხანის არქეოლოგია	საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგია
